პროექტი

დადგენილება

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 13/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016355) დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართის მე-2 პუნქტს დაემატოს:

„დუმბაძის ქუჩაზე:

ა) ავტოსადგურისა და აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა - დგომის ადგილი (7.4 – 76 ც.);

ბ) აგრარული ბაზრის ცენტრალურ შესასვლელთან ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა - ტაქსის დგომის ადგილი (1.17 - 8ც.);

გ) აგრარული ბაზრის ცენტრალურ შესასვლელთან და სპორტული დარბაზის შესასვლელთან ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა - „საცნობი ნიშნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ მქონე სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილი“ – (7.20.2 – 2ც.)“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.